პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 260 (4770)

1972 წ. 31 დეკემბერი, კვირა, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურული და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა ვალდებულებანი და მოგოდება

მაღალი ჯილდო

საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მშრომელთა დიდი დამსახურებისთვის, ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული დიდი წარმატებებისთვის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებებით **აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** და **აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდნენ ხალხთა მეგობრობის ორდენებით.**

საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის განმტკიცების საქმეში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დიდი დამსახურებისთვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისთვის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით.**

სპორტული ოსტატობის ახალი საფეხურები

29 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის სხდომამ ახალი ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია განიხილა. იგი გათვალისწინებულია ოთხი წლისთვის (1973-1976 წლები), ადგენს სათანადო ნორმებსა და მოთხოვნებს სპორტის 72 სახეობაში. უმეტეს შემთხვევაში ეს ნორმები და მოთხოვნები გაზრდილია. თავისებური სიახლეა კლასიფიკაციის მჭიდრო კავშირი მშდ კომპლექსთან. ამასთან, კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სავალდებულოა მაღალი კატეგორიის სპორტსმენებისთვისაც კი.

პირველად დამუშავდა სათანადო მოთხოვნები ისეთ ახალ სახეობებში, როგორიცაა მშდ კომპლექსის მრავალჯიდი, მოტოსათხილამურო რბოლები, აფროსნულ-სანიჩბოსნო სპორტი ზღვის ნუშა ნავებით, აგრეთვე, კლასიფიკაციაში ახლახან შეტანილი ძიუდო, ბატუტი, სანიჩბოსნო სლალომი, სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდი.

კლასიფიკაციით გათვალისწინებულია, აგრეთვე, სპორტული თანრიგებისა და წოდებების მინიჭება ეროვნულ სახეობებში. მათ შორისაა წოდება „ოსტატი მოკავშირე რესპუბლიკის სპორტის ეროვნულ სახეობებში“.

* * *

სსდომაზე ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა რუსეთის ფედერაციაში ფეხბურთის მდგომარეობის განხილვის დროს. სიტყვით გამოსულები აღნიშნავდნენ, რომ, თუმცა რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა მასობრივი ფეხბურთის განვითარებისთვის, ოსტატთა ბევრ გუნდში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დონე თანამედროვე მოთხოვნებს ვერ უპასუხებს.

ბევრი ნაკლია აღმზრდელობითს მუშაობაშიც. რუსეთის ფედერაციის გუნდების ფეხბურთელები ხშირად არღვევენ დისციპლინას. სათანადო დონეზე არც რეზერვის მომზადების საქმე დგას. ნორჩ ფეხბურთელებს ზაფხულობით ყველაზე ცუდ მინდვრებს უთმობენ სავარჯიშოდ, ზამთრობით კი დარბაზებში მეცადინეობის საათები შეზღუდულია.

კოლეგიამ განიხილა, აგრეთვე, გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის“ ლიტერატურის გამოცემის პერსპექტიული თემატური გეგმა.

გაზეების ასაგებად

გუშინ მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ 36-ე, წლის ბოლო ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრები: 2 (ავტოსპორტი), 5 (ბადმინტონი), 8 (კრივი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 35 (სპიდვეი), 37 (სოლა).

„სპორტლოტო“ ყველაზე ახალგაზრდა სპორტული ლატარიაა სსრ კავშირში. არსებობის ორი წლის მანძილზე მისი საზღვრები ძალიან გაფართოვდა. დღეისთვის „სპორტლოტოს“ ბილეთები საბჭოთა ქვეყნის 598 ქალაქში და 237 სოფელში იყიდება.

სპორტული ლატარიის მოყვარულებმა მოგების სახით უკვე 44134000 მანეთი მიიღეს.

მარტო წლეულს საბჭოთა კავშირში 12 კაცმა გამოიცნო სპორტის ექვსი სახეობა, 3279-მა — ხუთი, 176015-მა — ოთხი, 3381801-მა — სამი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები „სპორტლოტოში“ წლეულს მახსიდან ჩაებნენ. საქართველოში უკვე 50 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მოგება, რომლის საერთო თანხაც 800 ათასი მანეთია. რესპუბლიკას ახალი სპორტული ბაზების, სტადიონების, აუზების მშენებლობისთვის 360 ათასი მანეთი გამოეყო.

„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველო ახალ წელს ულოცავს სპორტული ლატარიის ყველა მოყვარულს, ახალ დიდ წარმატებებს უსურვებს საგაისოდ.

ი. ლოკაკინი,
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

სახალხო პატრიოტული მოძრაობის ფერხულში!

25 დეკემბერს თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდმა განიხილა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვა, რომელიც საქართველოს ყველა ფიზკულტურულ და სპორტულ კოლექტივს მოუწოდებს მხარი დაუჭირონ თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენი და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნების, ხუცუბნის (ქობულეთის რაიონი) და ტყვიავის (გორის რაიონი) სასოფლო საბჭოების თაოსნობას სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებისთვის, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის განუხრელი შესრულებისთვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისთვის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის ყოველგვარი გადმონაშთების აღმოფხვრისთვის.

კრებამ მხარი დაუჭირა თათბირის მონაწილეთა მიმართვას, დიდი კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს მოწინავე კოლექტივების შესანიშნავ თაოსნობას, რომელმაც რესპუბლიკის მშრომელთა შორის საყოველთაო მხარდაჭერა და აღიარება ჰპოვა, რომელიც მოიწონეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ.

კრებაზე აღინიშნა, რომ კალათბურთელთა კოლექტივი არ შეიძლება სახალხო პატრიოტული მოძრაობისგან განზე დარჩეს. იგი მზადაა ჩაებას ამ მოძრაობაში, რისთვისაც შემდეგ ვალდებულებებს კისრულობს:

1. არ დაუშვას არც თავის კოლექტივში და არც სხვაგან, ყოველდღიურ ცხოვრებაში, შრომითი და სპორტული დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის დადგენილი ნორმების დარღვევა, ანტიმორალური ქცევა და გამოხდომები, ჩვენს შეგნებაში წარსულის გადმონაშთების არავითარი გამოვლინება;

2. აამაღლოს მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, გუნდის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა კოლექტივში დაკისრებული საქმისთვის, თავდადებით იბრძოლოს მაღალი სპორტული მაჩვენებლების მოპოვებისთვის როგორც ქვეყნის ჩემპიონატებში, ისე ყველა სხვა შეჯიბრებაში, ტურნირსა და მატჩში;

3. ყველა საწვრთნელი ვარჯიში ჩაატაროს მაღალ დონეზე, არ დაუშვას დადგენილი რეჟიმისა და დღის განაწესის დარღვევა მეცადინეობებზე.

ყველამ, როგორც ერთმა, იბრძოლოს ძალისა და დროის დაუზოგავად, იბრძოლოს სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის, ტაქტიკური ჩვევების მრავალფეროვნებისთვის, ფიზიკური ამტანობისთვის, მტკიცე ნებისყოფისა და მებრძოლის თვისებებისთვის, კოლექტიური ურთიერთგაგებისა და ურთიერთდახმარების სულისკვეთების გაღვივებისთვის, ერთმანეთში ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობის განმტკიცებისთვის.

იზრუნოს, რომ რაც შეიძლება მეტი მოთამაშე მისცეს რესპუბლიკის, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოსა და ქვეყნის ნაკრებ გუნდებს;

4. ყველა მატჩში გამოიჩინოს მაღალი კულტურა და თამაშის დისციპლინა, გამარჯვებისკენ სწრაფვა, მეტოქეთა, მსაჯთა, მაყურებელთა მიმართ პატივისცემა, რაც აუცილებელია ურთიერთპატივისცემისთვის, გუნდის ავტორიტეტის ამაღლებისთვის.

საერთაშორისო შეხვედრებში გამოიჩინოს სსრ კავშირის მოქალაქისთვის დამახასიათებელი მაღალი მორალური თვისებები, ყოველმხრივ უფრთხილდებოდეს საბჭოთა სპორტის ღირსებას, საბჭოთა სპორტსმენის სახელს, ყველა შეხვედრაში — როგორც საზღვარგარეთ, ისე შინ — გამოავლინოს თამაშის მაღალი კულტურა, მაღალი სპორტული ოსტატობა;

5. წმიდად დაიცვას გუნდის ტრადიციები. მოთამაშეთა უფროსი თამაბა მუდამ სამაგალითო იყოს მთელი კოლექტივისთვის, პირადი ოსტატობის გამუდმებულ სრულყოფასთან ერთად თავისი გამოცდილება გადასცეს ახალგაზრდებს, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კოლექტივს მაღალი სპორტული შედეგების მოპოვებაში;

6. სპორტული მუშაობის დონეს ამაღლებასთან ერთად შეუპოვრად იბრძოლოს ზოგადი და სპეციალური ცოდნის შეძენისთვის, ერთმანეთს შეუთანხმოს სწავლა და სპორტში მეცადინეობა;

7. განუხრელად იბრძოლოს იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისთვის, რეგულარულად ჩაატაროს სააგიტაციო საუბრები, ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, კოლექტიური სვლები თეატრში, კინოში, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გაეცნოს იმ ქალაქების ღირსშესანიშნაობებს, სადაც მატჩების ჩასატარებლად ჩასვლა უხდება.

მოაწყოს შეხვედრები წარმოების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის მოწინავე წარმომადგენლებთან, კალათბურთის მოყვარულებთან;

8. ფრთხილად მოეკიდოს სპორტულ ინვენტარს, საზოგადოებრივ ქონებას, ეკონომიურად ხარჯოს გუნდისთვის გამოყოფილი სახსრები.

* * *

ზემოხსენებული ვალდებულებების მიღების შემდეგ კალათბურთელებმა მოუწოდეს თბილისის ოსტატ ფეხბურთელთა, წყალბურთელთა, რეგბისტთა გუნდების წევრებს, „დინამოს“ რესპუბლიკური ორგანიზაციის ყველა სხვა წევრს მიბაძონ მათს მაგალითს, აქტიურად ჩაებან რესპუბლიკის მოწინავე შრომითი კოლექტივების თაოსნობით წამოწყებულ პატრიოტულ მოძრაობაში.



ბ. შავერდიანი — ვერცხლის პრიზიორი

◆ ამსტერდამი, 30 დეკემბერი. ჭაბუკთა შორის ასუჯრიან შაშში აქ დამთავრებულ I მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა დონეცკელმა ნ. მიშჩანსკიმ, რომელიც ბოლო ტურში თბილისელ მოსწავლე ბ. შავერდიანს დაუშავდა. ჩემპიონმა 8 ქულა დააგროვა 10-დან, ვერცხლის პრიზიორმა შავერდიანმა კი 7,5. საბჭოთა მოშაშეებმა ბევრად გაუსწრეს III და IV ადგილებზე გასულთ — ჰოლანდიელ გოფსტეს (5,5 ქულა) და სურინამელ ბალიალას (5). უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ოსტატებმა დაუმარცხებლად განვლეს ტურნირი: მიშჩანსკიმ 6 პარტია მოიგო (4 ყაიმი), შავერდიანმა — ერთით ნაკლები. დიდოსტატთა საახალწლო ტურნირის ბოლო ტური საოცრად მშვიდობიანი გამოდგა. მხოლოდ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ჰ. როზენბურგმა (ჰოლანდია) სძლია ამერიკელ კ. სმითს. დანარჩენი პარტიები (მათ შორის: ა. ანდრეიკო — ტ. სეიბრანდსი და ბაბა სი — ჰ. ვირსმა) ყაიმით დამთავრდა. I ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონი სეიბრანდსი (ჰოლანდია) — 9,5 ქულა, II — ანდრეიკო (სსრკ) — 9, III — ვირსმა (ჰოლანდია) — 8,5, IV — როზენბურგი — 7.

გაგრის გუნდის წარმატება

აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე ეკვს თვეს მიმდინარეობდა ამ ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთელთა ჩემპიონატი 9 გუნდის მონაწილეობით.

როცა გათამაშება დამთავრდა, გამორკვა, რომ გაგრის „სპარტაკმა“ და ოჩამჩირის „კოჩარამ“ თანაბარი ქულები დააგროვეს — 23 თითოეულმა. ამიტომ საჭირო შეიქნა ამ რვა გუნდს შორის დამატებითი მატჩის ჩატარება. იგი შედგა სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე და ფრედ დამთავრდა — 1:1.

მეტოქეები განმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს და ამჯერად წარმატება გაგრელებს (მწვრთნელი რ. წოწორია) ხვდათ — 2:1.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო მატჩში თავი იჩინა ზედმეტმა ნერვიულობამ და მასთან ერთად უდისციპლინობამაც, რის გამოც ხუთმა ფეხბურთელმა გაფრთხილება მიიღო. ესეც არაფერი: მატჩის დამთავრების შემდეგ აფხაზეთის სპორტკომიტეტისა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა თვალწინ ოჩამჩირელმა ფეხბურთელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს არბიტრს მ. სიჭინავას (გუდაუთა). ეს უპრეცედენტო ამბავია და უნდა ვიფიქროთ, ხელიგნები საკადრის სასჯელს მიიღებენ.

ბ. პოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სოხუმი.

* * *

სურათზე: აფხაზეთის ჩემპიონი — გაგრის „სპარტაკი“.

ბ. ბაშვილის ფოტო.

ქამი ფიქრისა და განსჯისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივხედოთ ჩამორჩენილ სახეობებს!

დღის წესრიგშია ისევ კრივი

აგერ უკვე ოც წელზე მეტია საქართველოს მოკრივეები მკაცრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში არიან მოქცეული. მათ აკრიტიკებენ საქალაქო, რესპუბლიკური და საკავშირო ფიზკულტურული აქტივის კრებებზე, გაზეთების ფურცლებზე, მათ საგანგებო გადაცემებს უძღვნიან რადიო და ტელევიზია, გულდაწყვეტილნი არიან ამ რაინდული სახეობის მოყვარულები. ერთი სიტყვით, საყვედურს გვეუბნება ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული კრივი.

რა თქმა უნდა, ეს გულისწყრომა სამართლიანი გახლავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, კრიტიკამ ჯერჯერობით მკვდარი წერტილიდან ვერა და ვერ დასძრა ქართული კრივის საქმე. და აი, რატომ: ჩვენ, უდავოდ, მომხრენი ვართ კრიტიკისა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ცალმხრივ კრიტიკას არც შეეძლო რაიმე სასიკეთო გაეკეთებინა ჩვენში კრივის ხელახალი აღორძინებისთვის. რატომღაც წერილების ავტორები ამ საქმეში მხოლოდ მწვრთნელებსა და მოკრივეებს სდებდნენ ბრალს. დღემდე არავინ აღმოჩნდა, რომ უშუალოდ დამნაშავეები დაესახელებინა, მიეთითებინა მათთვის, ვისაც უშუალოდ აბარია კრივის განვითარების საქმე. ამას წინათ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ბ. გოგელიას წერილი „ვინ არის დამნაშავე?“, რომელშიც ჩვენი კრივის მიუხედავად იმისა, რომ თვალნათლივ ჩანდა კრივის საგანგაშო მდგომარეობა, რაც ბაზებისა და მწვრთნელთა უკმარობამ გამოიწვია, ზემდგომ ორგანოებში კრივის მასობრიობის ზედმეტად გაბერილ მაჩვენებლებს ადგენდნენ. მაგალითად, სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ანგარიშით, 1960 წლიდან კრივის სექციებში მომეცადინეთა რიცხვი 2853-დან 1968 წლისთვის 4445-მდე გაიზარდა, რაც აშკარა ფიქცია გახლავთ, ხოლო 1969 წლიდან დაიწყო შესამჩნევი კლება და 1971 წლის ბოლოსთვის დავიდა 2904 სპორტსმენამდე, რაც, აგრეთვე, გაზვიადებულია. თავად განსაჯეთ: 1971 წელს საქართველოში სპორტსაზოგადოებათა და განათლების სამინისტროს სპორტსკოლებში მუშაობდა დაახლოებით 123 ჯგუფი, ხოლო ყოველ ჯგუფში 15 სპორტსმენია. აქედან ადვილი დასადგენია, რომ 1971 წელს კრივში მომეცადინეთა რაოდენობა იყო არა 2904, არამედ 1845, მაგრამ ესეც საეჭვოა, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში ჯგუფები დაკომპლექტებულია 10-12 მოსწავლით, ზოგი ჯგუფი კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მხოლოდ ფორმალურად არსებობს. ერთი სიტყვით, ბოლო 20 წლის განმავლობაში იმ სამი აუცილებელი პირობიდან (სპორტული ბაზები, მწვრთნელები და მოსამზადებელი კონტინგენტი), რასაც ხელი

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

ჩამორჩენაზე იყო საუბარი. რადგან სტატიის ავტორმა დასვა კითხვა „ვინ არის დამნაშავე?“, გადავწყვიტე დამეწერა წერილი, რომელიც ფაქტების წარმოჩენებით ნათელს მოფენდა ქართული კრივის ჩამორჩენის რეალურ მიზეზებს. სიმართლის ძიებისას საჭირო საკითხის ობიექტური განხილვა და ერთი ხელის მოსმით მთელი სიმძიმის მხოლოდ მწვრთნელებზე და სპორტსმენებზე გადატანა მართებული არ იქნებოდა.

მწვრთნელი უშუალოდ პასუხისმგებელია მოკრივის მომზადებისთვის, მაგრამ შიშველი ენთუზიაზმით იგი, დაგვეთანხმებით, შორს ვერ წავა.

ცნობილია, რომ სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა ბაზები, მწვრთნელები და ᲐᲦᲡᲐᲮᲠᲓᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲒᲔᲜᲢᲘ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ, თუკი მწვრთნელებისგან მოითხოვენ მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდას, ეს ზემდგომი ორგანოების დაუხმარებლად არ ხდება. რა მდგომარეობაში არიან ამ მხრივ საქართველოს მოკრივეები? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სავალალოში. საკმარისია ითქვას, 1950 წლიდან მოყოლებული დღემდე მოკრივეებს მარტო თბილისში ჩამართვეს 13 სპორტული დარბაზი და ამის სანაცვლოდ მიხცეს სპეციალიზებული დარბაზი, რომელიც სპორტსაზოგადოება „განთიადმა“ აშენა პლეხანოვის პროსპექტზე რამდენიმე თვის წინ.

ამჟამად თბილისელები ვარჯიშობენ ხუთ მომცრო, თუ შეიძლება ითქვას, ოთახში, სადაც არავითარი პირობა არ არსებობს ნორმალური წვრთნისთვის. „სპარტაკის“ მოკრივეები შეხიზნული არიან ძალოსნებთან, ხოლო დინამოელები, „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის გამო, იწვრთნებიან ბეღაკის ქუჩაზე მდებარე სპორტდარბაზში, სადაც მათ მოჭადრაკეთა პაწაწინა ოთახი დაუთმეს. რაც შეეხება „შრომითს რეზერვებსა“ და „ბურევესტნიკს“, სადაც კრივი ერთ-ერთი წამყვანი სახეობა უნდა იყოს, მათ საკარჯიშო დარბაზი არ გააჩნიათ.

სპორტული ბაზების რიცხვის შემცირებამ და მათმა უკმარობამ კვალიფიციურ მწვრთნელთა ნაკლები დატვირთვა გამოიწვია. ამის შედეგად ზემოხსენებულ პერიოდში კრივს თავი მიანება 30-მდე მწვრთნელმა, ხოლო ამავე პერიოდში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული 72 კრივის სპეციალისტიდან მხოლოდ 10 მუშაობს მწვრთნელად.

ᲚᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

უნდა შეეწყო რესპუბლიკაში კრივის მასობრიობისა და ოსტატობის დონის ამაღლებისთვის, ჩვენს მოკრივეებს არც ერთი არ ჰქონდათ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოს მოკრივეებს არსებული საშუალებებით მაინც შეეძლოთ უკეთესი სპორტული შედეგების მიღწევა, მაგრამ ეს არ მოხდა, უბრალოდ, ერთი მიზეზით: ბოლო ხანებში წესად იქცა, რომ თანრიგოსან მოკრივეთა და სპორტის ოსტატთა მომზადების სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობისთვის ხელმძღვანელ ამხანაგებს პასუხს სერიოზულად არავინ სთხოვდა. ამან ხელი შეუწყო მწვრთნელების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ზემოხსენებული გეგმებისადმი. 1960 წლიდან მოყოლებული, დღემდე კრივში პირველთანრიგოსანთა და სპორტის ოსტატთა მომზადების სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკაში ყოველწლიურად შეუსრულებელი რჩებოდა. 1960-1971 წლებში გეგმით გათვალისწინებული 104 სპორტის ოსტატის ნაცვლად მომზადდა 35, ხოლო 1960-70 წლებში გეგმით გათვალისწინებული 1075 პირველთანრიგოსნის მაგიერ — 691.

სპორტის ოსტატთა მომზადების სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობამ და ამ საქმისადმი სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრები 7 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. სპარტაკიადის დებულებით, შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ სპორტის ოსტატებს ეძლეკათ. ამიტომ მთელი მოსამზადებელი პერიოდი — 1968 წლიდან 1971 წლამდე — სწორედ გეგმების შესასრულებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რათა მომზადებულ სპორტის ოსტატთა დიდი ჯგუფიდან დაგვეკომპლექტებინა რესპუბლიკის ნაკრები 11 კაცის შემადგენლობით. 1968-71 წლებში რესპუბლიკაში 30-ის ნაცვლად მომზადდა მხოლოდ 7 სპორტის ოსტატი (სწორედ ეს 7 ოსტატი შევიდა ნაკრებ გუნდში). აბა, წარმოიდგინეთ, საქართველოს ნაკრებს ასეთი არასრული შემადგენლობით როგორ უნდა ებრძოლა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებთან, რომელთა რიგებში იყვნენ სსრ კავშირის, ევროპის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და ამ ტურნირების პრიზიორები?

მომავალი სპარტაკიადისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ მოკრივეთა მდგომარეობა ამ მხრივ არ გამოსწორებულა. ისევ და ისევ არ სრულდება სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმა. თანრიგოსან მოკრივეთა და სპორტის ოსტატთა მომზადების დაგეგმვაშიც, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვებს, დიდი უაზრობაა გამეფებული. მაგალითად, „შრომით რეზერვებს“, რომელსაც კრივის სპეციალიზებული ბაზაც ჰქონდა, კვალიფიციური მწვრთნელები და მოკრივეთა საკმაო კონტინგენტიც ჰყავდა, 1968 წლიდან 1971 წლამდე დაგეგმილი არ ჰქონია სპორტის ოსტატების მომზადება. სამაგიეროდ, არმიის სპორტულ კლუბს, რომელსაც კრივის სექცია არა აქვს, 1968 წლიდან 1971 წლამდე 8 სპორტის ოსტატის მომზადება ჰქონდა დავალებული. ასევე, „დინამოს“, რომელსაც გამოცდილი მწვრთნელები ჰყავს და სხვა სპორტსაზოგადოებებთან შედარებით უკეთესი საშუალებებიც გააჩნია, 1971 წელს სპორტის ოსტატთა მომზადება დაგეგმილი არ ჰქონია.

თანრიგოსანი მოკრივის, სპორტის ოსტატის ან საერთაშორისო კლასის მოკრივის მომზადების საუკეთესო საშუალებაა მათი შეჯიბრებებში მონაწილეობა. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მიუხედავად ამისა, თუ სპორტსაზოგადოებათა და სპორტკომიტეტების სპორტულ ღონისძიებათა კალენდარს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი მოკრივეები წლის განმავლობაში მხოლოდ 3-4 შეჯიბრებაში გამოდიან. ეს გახლავთ ქალაქის, რესპუბლიკისა და საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობები, მოკავშირე რესპუბლიკების ერთი-ორი მემორიალი. მოკრივეს წლის განმავლობაში უწევს საშუალოდ 4-დან 7 ბრძოლამდე, მაშინ, როცა სსრ კავშირის ან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდების მისაღებად მან წელიწადში 18-დან 25 შეხვედრამდე უნდა ჩაატაროს, აქედან 12-14 ბრძოლა — საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებში, ტურნირებსა და მემორიალებში.

წლევანდელი წლის დამდეგს დაიწყო საკავშირო პროფსაბჭოს თასის გათამაშება კრივში, რომელიც დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდა. საქართველოს ახალგაზრდულმა გუნდმა პირველი შეხვედრა თბილისში ჩაატარა ჩრდილოეთ ოსეთის სპორტსმენებთან და გაიმარჯვა — 9:2. პირველმა წარმატებამ გუნდს დიდი სიხარული მოუტანა და გულდასმით დაიწყო მზადება შემდეგი შეხვედრისთვის, რომელიც ორჯონიკიძეში უნდა ჩატარებულიყო. სამწუხაროდ ეს სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მეორე შეხვედრამდე სამი დღით ადრე რესპუბლიკურმა პროფსაბჭომ თავისი გუნდი შეჯიბრებიდან მოხსნა სახსრების უქონლობის გამო. პარადოქსია? შეჯიბრებიდან გამარჯვებული გუნდის მოხსნა უნიკალური შემთხვევაა საბჭოთა კრივის ისტორიაში.

აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტკომიტეტები ყოველ წელიწადს იწვევენ ჩვენს მოკრივეებს აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზის გათამაშებაში და სპორტის დამსახურებული ოსტატის ღ. თეიმურიანის მემორიალში სასახარეზოდ. მაგრამ საქართველოს მოკრივეები ამ შეჯიბრებებში არც ერთხელ არ გამოსულან. „დინამოს“ ცენტრალური საბჭო ყოველწლიურად აწყობს უკრაინელი მოკრივის ი. საპლივენკოს სახელობის საკავშირო ტურნირს და ჩვენს მოკრივეებსაც იწვევს. ი. საპლივენკო ომის წინა პერიოდის მოჭრივე გახლდათ. წლების განმავლობაში იგი ბაკოში ცხოვრობდა, სპორტში მოღვაწეობდა, ჩვენი მეგობარი იყო. საქართველოს მოკრივეები არც ერთხელ არ ჩასულან ამ შეჯიბრებაზე და თავისი მონაწილეობით პატივი არ უცია ჩვენი მეგობრის ხსოვნისთვის. ივანო-ფრანკოვსკში ტრადიციულად ეწყობა საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, პარტიზანთა შენაერთის მეთაურის, ლეგენდარული ს. კოვპაკის სახელობის საკავშირო ტურნირი. საქართველოს მოკრივეები იქაც მიიპატიჟეს, მაგრამ, როგორც წესი, არ წასულან.

დეკემბერში ცხინვალში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის ი. პლიევის სახელობის საკავშირო ტურნირი, რომელშიც უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, მოლდავეთის, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკების 90-მდე მოკრივე მონაწილეობდა. თბილისელი, ქუთაისელი და სოხუმელი მოკრივეები სარბიელზე არც აქ გამოსულან.

თბილისისა და რესპუბლიკის ნაკრები გუნდები საწვრთნელ ბაზად იყენებენ ფიზკულტურის ინსტიტუტის კრივის დარბაზს (უფრო სწორად, აუდიტორიას), სადაც მხოლოდ ორი ძველისძველი საწვრთნელი ტომარა და რამდენიმე წყვილი ხელთათმანია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, განა ასეთ პირობებში უნდა იზრდებოდნენ მომავალი მწვრთნელები, რომლებსაც არც კი უნახავთ კრივის დარბაზის თანამედროვე აღჭურვილობა და მისი დანიშნულება არ იციან? ამ 50 წლის წინ თბილისში, ბებუთოვის ქუჩაზე (ახლანდელი ენგელსის ქუჩა) მდებარე კრივის დარბაზი ზუსტად ასევე იყო აღჭურვილი (ორი საწვრთნელი ტომრით და რამდენიმე წყვილი ხელთათმანით). გამოდის, რომ ნახევარ საუკუნეს არავითარი ბავლენა არ მოუხდენია.

უკეთესი მდგომარეობა არც სხვა ბაზებზეა. საცოდავი სანახავია თბილისში „დინამოსა“ და „სპარტაკის“ სპორტული დარბაზები. „დინამოს“ დარბაზში იმდენად ძველი ინვენტარია, ხელები აღარ უვარგათ ნორჩ მოკრივეებს, ხოლო „სპარტაკის“ დარბაზში საწვრთნელი იარაღი და ინვენტარი სულაც არ არის. ასევე არ არის მოკრივეთა ფიზიკური მომზადებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა. მთელს რესპუბლიკაშიც და თბილისშიც ზოგიერთი დარბაზი საერთოდ არ თბება.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი ამ მდგომარეობას გულგრილად არ უყურებდა. წლების განმავლობაში მან რამდენიმეჯერ მოიმინა კრივის რესპუბლიკური ფედერაციის ანგარიში და სათანადო დადგენილებებიც მიიღო.

1966 წლის 28 იანვრის დადგენილება ამ მხრივ მართლაც საყურადღებოა. იგი ითვალისწინებდა საქართველოში კრივის შემდგომ მასობრიობას და 1967 წლის ბოლომდე ამ სახეობაში მომეცადინეთა რაოდენობის ზაზრდას. ამ მიზნით კომატეტმა სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს დაავალა რესპუბლიკაში დამატებით შექმნათ 70-მდე ჯგუფი, მათ შორის, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებიც, სკოლა-ინტერნატებში; ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში.

შესაბამისად, მოკრივეებისთვის უნდა გადაეცათ დამატებით 5 სპორტდარბაზი, უნდა გაზრდილიყო შეჯიბრებათა რიცხვი, წესად დამკვიდრებულიყო რესპუბლიკის ქალაქებში ტრადიციული შეჯიბრებებისა და „ღია რინგის“ ჩატარება...

ამას გარდა, კრივის პოპულარიზაციისთვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია თბილისში, კრივის სახელობის პარკში ალპიური კლუბის ყოფილ შენობაში შექმნა მოკრივეთა კლუბი.

ერთი სიტყვით, აღნიშნულ დადგენილებას დიდი გარდატეხა უნდა შეეტანა რესპუბლიკაში კრივის აღორძინებისა და განვითარების საქმეში. მაგრამ პირიქით მოხდა: ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

1. დადგენილებით გათვალისწინებული ზრდის მაგიერ, მასობრიობამ იკლო;
2. სპორტული ღონისძიებების რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა;
3. „ღია რინგის“ შეჯიბრებები ტრადიციად ქცევის მაგიერ თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში საერთოდ შეწყდა;
4. დამატებით ხუთი დარბაზის გადაცემის ნაცვლად მოკრივეებს დამატებით ჩამოართვეს კიდევ ორი დარბაზი. სპორტკლუბ „სინათლის“ ერთ-ერთი საუკეთესო დარბაზი, სადაც ტარდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა შეჯიბრება, „ღია რინგიდან“ დაწყებული საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა პირველობებით დამთავრებული, ტანმოვარჯიშეებს გადასცეს, ხოლო „შრომითი რეზერვების“ სპეციალიზებული დარბაზი სახელოსნო სასწავლებლის დამხმარე საწარმოდ გადაკეთდა;
5. მოკრივეთა კლუბისთვის გათვალისწინებულ შენობაში (ამ კლუბს ისინი ხუთ წელიწადს ელოდნენ) სასწრაფოდ შეასახლეს სპორტის ვეტერანთა საბჭო.

არ შესრულდა საქართველოს სპორტკომიტეტის შემდგომი დადგენილებანიც, რომლებიც კრივის განვითარებას დიდად შეუწყობდნენ ხელს. 1968 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით, 1969-72 წლებში რესპუბლიკის სპორტღონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო იმდენი შეჯიბრება, რომ მოკრივეს წლის განმავლობაში 18-20 ბრძოლა ჩაეტარებინა, მაგრამ ეს დადგენილებაც ქაღალდზე დარჩა.

1972 წლის 25 მაისის დადგენილებით, ადგილობრივ სპორტკომიტეტებს, სპორტსაზოგადოებებსა და უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებს, სადაც კრივი სპორტის მთავარი სახეობაა, დავალებული ჰქონდათ 1 სექტემბრისთვის განეხილათ და დაეწყოთ მუშაობა კრივის განვითარებისთვის შეთავაზებული სქემით, რომელიც ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ჯგუფების შედგენას ითვალისწინებდა. დეკემბერში კრივის რესპუბლიკური ფედერაციის შემოწმებით დადგინდა, რომ სპორტკომიტეტებს, სპორტსაზოგადოებებსა და უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებს აღნიშნული დადგენილება არ განუხილავთ, ღონისძიებები არ შეუმუშავებიათ, ძველებურად მუშაობს თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა (დირექტორი ვ. კინკაძე). საქართველოს სპორტკომიტეტის 1972 წლის 4 იანვრის დადგენილებით, ამ სკოლაში მოკრივეთა ხუთი ან შვიდი ჯგუფი უნდა იყოს, მაგრამ მისი დაარსებიდან დღემდე მხოლოდ ორი ჯგუფი მუშაობს. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, ეს სკოლა პასუხისმგებელია თბილისის ნაკრები გუნდის მომზადებისთვის. თბილისის საქალაქო სპორტკომიტეტი (თავმჯდომარე გ. შარაშიძე) კი ამ მდგომარეობას გულმშვიდად შეჰყურებს.

რა შედეგს მოიტანდა დადგენილებები, რომლებსაც პატივს არ სცემდნენ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები?

... ჯერჯერობით არც ერთ სპორტსაზოგადოებას და უმაღლესი ოსტატობის სკოლას არ მოუსმენია მწვრთნელთა ანგარიში ამ ოლიმპიურ ციკლში გაწეულ მუშაობაზე, არ დაუსახავს კონკრეტული ღონისძიება, არც ერთი მწვრთნელი არ დაუსჯია სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობისთვის და უმაღლესი დონის მოკრივეთა მოუმზადებლობისთვის. ჩვენი აზრით, მწვრთნელებს ვერც მოსთხოვენ პასუხს იმიტომ, რომ ამ საქმეში თვითონ ხელმძღვანელებიც სცოდავენ: მათ მინიმალური პირობებიც არ შეუქმნეს მწვრთნელებს.

საქართველოში კრივის განვითარების დასაყრდენი პუნქტებია აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი, თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი; სპორტსაზოგადოებებიდან — „დინამო“, „სპარტაკი“, „შრომითი რეზერვები“, „განთიადი“, აგრეთვე, უმაღლესი სპორტული ოსტატობის მე-2 რესპუბლიკური და თბილისის სკოლები.

საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქების სპორტკომიტეტების, სპორტსაზოგადოებებისა და უმაღლესი ოსტატობის სკოლების ხელმძღვანელები? რატომ დროულად არ მიაქციეს ყურადღება კრივის ჩამორჩენას და, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვებს, დაკნინებას? ამ შეკითხვაზე პასუხი უნდა გაგვცენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, ფოთის საქალაქო კომიტეტებმა, „დინამოს“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების მესვეურებმა.

შექმნილი მდგომარეობისთვის პასუხისმგებლობა კრივის რესპუბლიკურ ფედერაციასაც ეკისრება. მართალია, ფედერაცია საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ორგანოა, მაგრამ მის ხელმძღვანელობას მეტი პრინციპულობით რომ ებრძოლა ყველა ხარვეზის წინააღმდეგ და არ მორიდებოდა ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგთან „ურთიერთობის გამწვავებას“, რა თქმა უნდა, შედეგიც უკეთესი იქნებოდა.

მაშ ასე, საქართველოს მოკრივეების ამდენი კრიტიკის შემდეგ კონკრეტულად დასახელებული არიან ორგანიზაციები, რომლებსაც მთელი პასუხისმგებლობა აწევთ. საინტერესოა, რას იტყვიან და რით გაიმართლებენ თავს ისინი, ვინც საძირკველი შეურყია ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეთა და მწვრთნელთა ათეული წლების ნაამაგარს, ჩრდილი მიაყენა წარსულში სასახელო და ბრწყინვალე გამარჯვებებს?!

ბ. კვინიხიძე,
კრივის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტ. სტივენსონი



მ. პფლიუგი

ი. კასაია



გ. კულაკოვა

ლ. დანეკი



ვ. ვასინი

ფ. ფორტერი

ოლიმპიური წლის გაცილება

საკდესის საახალწლო ანკეტა

ვავიდა დიდი და სასელოვანი წელიწადი, ღირსშესანიშნავი, საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წელი. ამასთან, ეს იყო ჭეშმარიტად სპორტული ოლიმპიური წელიწადი. საბჭოთა სპორტსმენებმა თავიანთი ქვეყნის იუბილე დიდი წარმატებით აღნიშნეს როგორც საპოროს „თეთრი ოლიმპიადის“ სარბიელზე, ისე მიუნჰენის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებში, სადაც არნახული ოქროს ნადავლი მოიპოვეს — 50 მედალი.

დეკემბრის მიწურულს საკდესის სპორტული ინფორმაციის რედაქციამ ოლიმპიურ ჩემპიონებს — საბჭოთა და უცხოეთის სპორტსმენებს — სთხოვა ეამბნათ მიმავალი წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე, ყველაზე დიდ შთაბეჭდილებებზე.

გალინა კულაკოვამ, საპოროს ოლიმპიადის „ოქროს მოთხილამურემ“ თქვა: „რასაკვირველია, 1972 წელს ჩემთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი, მარად დაუვიწყარი ამბავი იყო ლენინის ორდენით დაჯილდოება. პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს საბჭოთა სპორტსმენთა მიღწევები“.

მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, წყალში მხტომელმა ვლადიმერ ვასინმა განაცხადა, რომ მაღალი ჯილდო — „საპატიო ნიშნის“ ორდენი ბევრს ავალებს.

საპოროს ასპარეზობის გახსენების დროს გალინა კულაკოვამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მოთხილამურე ქალები ზამთრის თამაშებში წარმოადგენდნენ მეგობრულ, ერთიან, სამშობლოს სიყვარულითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შედუღაბებულ კოლექტივს. „დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ჩვენს ყველა გულშემატკივარს მხურვალე მხარდაჭერისთვის. საპოროში უამრავი წერილი და დეპეშა მოგვდიოდა. ყოველდღე, ყოველ წუთს ვგრძნობდით, როგორ ელოდნენ ჩვენგან გამარჯვებებს. ეს მხნეობას გვმატებდა, — ამბობს გალინა.

მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში, ბრნოელი ტექნოლოგი ლიუდეკ დანეკი ამბობს, რომ არასოდეს დაავიწყდება ის წუთი, როცა ოლიმპიადის მთავარ სარბიელზე მისი ქვეყნის ალამი აფრიალდა და ჩეხოსლოვაკიის ჰიმნი გაისმა. „მიუნჰენი“ ხომ ამ რესპუბლიკის ისტორიაში სხვაგვარად ჟღერს: სწორედ აქ მიიღო ჰიტლერულმა გერმანიამ დასავლეთის სახელმწიფოთა მხარდაჭერა ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის საკითხში.

დანეკისთვის, ვეტერანი სპორტსმენისთვის, მიუნჰენში გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი თხუთმეტი წლის მანძილზე მძიმე ვარჯიშისა და ასპარეზობის ნაყოფი იყო.

XX საზაფხულო ოლიმპიადის ყველაზე უკეთესი მოკრივე, კუბელი ტეოფილო სტივენსონი ამბობს, რომ მისთვის 1972 წელი განსაკუთრებით ბედნიერი იყო. სტივენსონმა და მისმა ამხანაგებმა, კუბელმა მოკრივეებმა, დიდი წარმატება მოიპოვეს — ლათინური ამერიკის ქვეყნების სპორტსმენთა შორის პირველებმა დაისაკუთრეს ერთბაშად ხუთი ოლიმპიური მედალი, რითაც თვალნათლივ დაადასტურეს თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოს მიღწევები სპორტულ სარბიელზე.

სტივენსონს მიაჩნია, რომ ოლიმპიურ თამაშებში წარმატებას პირველ ყოვლისა უნდა უმადლოდეს საბჭოთა მწვრთნელს ა. ჩერვონენკოს, რომელიც კუბელ მოკრივეებს ავარჯიშებს.

კუბელი მოკრივე მოსკოვში იყო სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სპორტულ დღესასწაულზე. მას, ისევე როგორც სოციალისტური ქვეყნების ზოგიერთ სხვა სპორტსმენს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. სტივენსონს მომავლისთვის სავსებით გარკვეული გეგმები აქვს — აპირებს დაამთავროს სწავლა ჰავანის ინსტიტუტში, ინჟინრის დიპლომი მიიღოს და კიდევ ორ ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვოს.

მონიკა პფლიუგისთვის (გფრ) საპოროს ოლიმპიურ თამაშებში 1000 მეტრზე ციგურებით სწრაფრბენაში გამარჯვება უდიდესი ბედნიერება იყო. „ახლა ჩემზე ამბობენ, სპორტში დიდი ტალანტი აქვსო. მე წინააღმდეგი არა ვარ...“

ამერიკელი მარათონელი ფრენკ შორტერი ყოველდღე (ათი წლის განმავლობაში!) 30-35 კილომეტრს დარბოდა. მაგრამ ნამდვილი გაწამაწია მისთვის მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების შემდეგ დაიწყო. შორტერს, როგორც თვითონ ამბობს, ქუჩაში ვედარ გაუვლია — ყველა აჩერებს. ყველა ცდილობს ოლიმპიურ ჩემპიონს გამოელაპარაკოს. მას დიდ შეჯიბრებებზე იწვევენ მსოფლიოს სულ სხვადასხვა კუთხეში. „დიდების ტვირთი“ ჩემთვის იოლი სატარებელი არ არის, — ამბობს ფრენკი. — სწავლაც უნდა დავამთავრო — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ვარ“.

ვასინსაც ასეთივე საზრუნავი აქვს: ისიც სწავლას ამთავრებს. ოლიმპიურ წელიწადს მან მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის V კურსი დაასრულა, ახლა კი დიპლომი უნდა დაიცვას.

იაპონელი იუკიო კასაია საპოროში საუკეთესო „მფრინავ მოთხილამურედ“ აღიარეს, მაგრამ მისთვის ამ ოლიმპიურ ტრიუმფზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ვაჟის მამა დაერქვა. კასაიას განზრახული აქვს კვლავ აქტიურად ივარჯიშოს, როგორც თვითონ ამბობს, ისე იცხოვროს, რომ თავის ქვეყანას, თავის ხალხს სარგებლობა მოუტანოს.

უცხოელი სპორტსმენები გულწრფელად ულოცავენ ახალ წელს საბჭოთა კოლეგებს.

მეტი თვალსაჩინოებისთვის

ამას წინათ რიგაში გაიმართა საკავშირო თათბირ-სემინარი ფიზიკური კულტურისა და სპორტის თვალსაჩინო პროპაგანდის საკითხებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც.

აი, რა გვიამბო თბილისის სპორტკომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ინსტრუქტორმა ა. კაპანაძემ:

— სპორტის პროპაგანდისტთა საკავშირო თათბირს, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თვალსაჩინო პროპაგანდის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, მხატვარი ს. ლუჩიკინი. ლატვიის დედაქალაქში თავმოყრილ პროპაგანდისტებს მიესალმა ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივი სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. რიექსტინი.

სპორტულ ნაგებობათა გაფორმების სისტემაზე ილაპარაკა რიგის დეკორაციული-გამოყენებითი სამუშაოების კომბინატ „მაქსლას“ მხატვარმა მ. კარკლინშმა. ხოლო ამ სისტემის ახალი ფორმებისა და მათი გამოყენების შესახებ — ხელოვნებათმცოდნე ზ. შერენგოვაიამ.

სპორტული პლაკატის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის“ მთავარმა მხატვარმა ა. ლინდორფმა, გამომცემლობა „ლიესმას“ რედაქტორმა ლ. გრიენემ, პლაკატის საკავშირო სექციის თავმჯდომარემ, რუსეთის ფედერაციის დამსახურებულმა მხატვარმა ო. სავასტიუკმა.

დიდი ყურადღებით მოისმინეს მშდ კომპლექსის საკავშირო საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის ვ. მურავიოვის მოხსენება — „ახალი კომპლექსის პროპაგანდა“, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ცნობილი ოდესელი მხატვრის მ. ტოდოროვის შთაბეჭდილებები მექსიკისა და მიუნჰენის ოლიპიადებიდან. ავტორი ამავე დროს ფერად დიაპოზიტივებს უჩვენებდა.

სემინარის დასკვნითს დღეს საინტერესო იყო მოლდავეთის სპორტის პროპაგანდის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის მ. ლევიტის, სომხეთის ექსპერიმენტული შემოქმედებითი-საწარმოო კომბინატ „ოლიმპის“ მთავარი მხატვრის ზ. სტეპანიანის, უკრაინის სპორტული დიდების მუზეუმის დირექტორის დ. კოტკოს, აზერბაიჯანის სპორტკომიტეტის პროპაგანდის უფროსი ინსტრუქტორის კ. აღალაროვის, ლიტვის სპორტის პროპაგანდის ფედერაციის წარმომადგენლის ე. ბურნეიკისა და სხვათა გამოსვლები.

პროპაგანდისტთა საკავშირო თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის პროპაგანდის განყოფილების უფროსის მოადგილემ ვ. მიროშნიკოვმა.

სტუმართმოყვარე მასპინძლებმა თათბირის მონაწილეებს დაათვალიერებინეს რიგის სპორტული ნაგებობები — სპორტის სასახლე, მძლეოსნობის მანეჟი, სპორტის სახლი, საცურაო აუზი, აგრეთვე, სამხატვრო კომბინატი „მაქსლა“, მემორიალური კომპლექსი „სალასპილსი“, რომელმაც ლენინური პრემია დაიმსახურა.

პროპაგანდისტებისთვის მოეწყო სპორტული პლაკატების, ვიმპელებისა და სამკერდე ნიშნების გამოფენის დათვალიერება, სპორტული ფილმების ჩვენება, საორღანო მუსიკის კონცერტი დომის ტაძარში, ექსკურსიები იურმალაში, ბულდურში და სხვ.

ო. გოლაძე.

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

ცსკა მეორედ დამარცხდა



გუშინწინ შედგა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

კაუნასი. ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია ვოროშილოვგრადის „სპარტაკს“ — 84:71.

მოსკოვი. ცსკა-სა და ადგილობრივ დინამოელთა შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობა ჩემპიონის მხარეს იყო. მეორე ტაიმში დინამოელებმა ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო მატჩის მიწურულს დაწინაურდნენ კიდეც. ცსკა-მ მეორე მარცხი იწვნია — 85:89.

ლენინგრადი. ადგილობრივი „სპარტაკისა“ და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივის შეხვედრაში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 70:62.

ქულა სჯუმრებს, ქულა მასპინძლებს

„ა“-ჯგ. I ჯგუფი

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების პირველი მატჩი 28 დეკემბერს. თავდაპირველად უპირატესობა სტუმრების მსარეს იყო, რომლებმაც ტაიმი 4 ქულის უპირატესობით მოიგეს — 51:47. ბრძოლა შესვენების შემდეგაც უაღრესად დაძაბული იყო. საფინალო სასტვენამდე 3 წამით ადრე სადემონსტრაციო ფაფა აჩვენებდა ფრეს — 100:100. ამ მომენტში ბურთი ხელთ იგდო ერევნელმა ზასტუხოვმა და ზუსტად ესროლა კალათს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 102:100.

თბილისელთა შორის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე ჯგერენაია იყო. მან თავის კოლექტივს 34 ქულა შესძინა.

მაღალაშვილმა გუნდს 31 ქულა მოუტანა (მათ შორის, 29 — პირველ ტაიმში). სტუმრებში სნაიპერული სროლით თავი გამოიჩინა ზასტუხოვმა — 30 ქულა.

გუშინწინ შედგა ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. თბილისელებმა ამჯერად უკეთესად ითამაშეს: პირველი ტაიმი 10 ქულით მოიგეს—44:34. ისინი შესვენების შემდეგაც წინ იყვნენ 8-10 ქულით და საბოლოოდ „ბურევესტნიკმა“ რევანში აიღო — 92:81.

შედეგიანი თამაშით თავი გამოიჩინეს: მასპინძლებში — ჭეიშვილმა (21 ქულა), ჯგერენაიამ (19) და მაღალაშვილმა (18), სტუმრებში — დავთიანმა, აგასარიანმა (16-16) და ნშანიანმა (15).

ც. ფცქიალაძე.

ფუნარი ოკეანის „ოქრის ფიალა"

საჯელი პოტენციალი

დამთავრდა მეზღვაურთა ინტერნაციონალური მეგობრობის თასის გათამაშება. ორ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა წყნარი და ინდოეთის ოკეანეების აუზში ეს საინტერესო შეჯიბრება. ასპარეზობდა 463 საბჭოთა და უცხოური გემის, სანაპირო გუნდების 8 ათასი მეზღვაური. ჩატარდა 2 ათასზე მეტი შეხვედრა ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სიმძიმეების აწევაში და სხვა სახეობებში. საბჭოთა, პოლონეთის, ინგლისის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების გემების გუნდების გარდა, თასისთვის იბრძოდნენ უცხოური კომპანიების სპორტსმენები, საპორტო და სანაპირო ქალაქების კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სტუდენტები.

ინტერნაციონალური მეგობრობის თასი— მშვენიერი მოოქრული ფიალა — დაისაკუთრა შორეული აღმოსავლეთის ლენინის ორდენოსანი სანაოსნოს საბჭოთა თბომავალ „ვანინოს" ეკიპაჟმა. ამ გემის მეგობრული ფიზკულტურის კოლექტივი დამაჯერებლად გამოვიდა პროგრამის ბევრ სახეობაში და ფინიშზე ჩამოიტოვა ძირითადი მეტოქეები — „ტობოლესის", „ფელიქს ძერჟინსკის", „გამზათ ცადასის", „იემისა" და სხვა თბომავლების გუნდები. უცხოელ მონაწილეებიდან სხვებზე წარმატებით გამოვიდნენ „ჰანოის" (პოლონეთი), „მაგელანის" (საფრანგეთი), „მიკა-მარუს" (იაპონია) ეკიპაჟები.

ინტერნაციონალური მეგობრობის თასი უკვე მესამე პრიზია, რომელიც მეზღვაურებისთვის დააწესა სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის" საუზო საბჭომ ვლადივოსტოკში. მანამდე წარმატებით ჩატარდა შეჯიბრებები იაპონიის ზღვისა და წყნარი ოკეანის თასებზე. ამ პოპულარულ შეჯიბრებებს საპორტო ქალაქებში ათი ათასობით მაყურებელი ადევნებდა თვალს. არქტიკული განედების მკაცრ ჭარებში და ტროპიკულ სიცხეში, გემბანზე და ტრიუმში ძნელია ვარჯიში. სპორტი ძალას მატებს, მეზღვაურებს სტიქიასთან ბრძოლაში, ეხმარება მათ ოკეანის ტრასებზე ყველაზე ძნელ გამოცდაში.

გამარჯვებულნი ცნობილი არიან, მაგრამ შეჯიბრება კიდევ გაგრძელდება. როგორც საკდესის კორესპონდენტს „ვოდნიკის" საუზო საბჭოში უთხრეს, ახალი პრიზი გარდამავალი იქნება.

ვლადივოსტოკი.

საჯელი პოტენციალი

● ინსბრუკი, 28 დეკემბერი. თურქეთის ამ ქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო შეჯიბრებამ თავისუფალ ჭიდაობაში. წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა ათლეტებმა: ხუთი სპორტსმენიდან ოთხმა საპრიზო ადგილები დაიკავა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მიუნპენის ოლიმპიადის მონაწილეებმა: I ადგილები დაიკავეს მახაჩყალელებმა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზ. ამდულაბეკოვმა (68 კგ), ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ა. ალახვერდიევმა (52 კგ-მდე) და ბრინჯაოს პრიზიორმა რ. აშურალიევმა (74 კგ-მდე). III ადგილზეა ორენბურგელი ვ. ისკაკოვი (48 კგ-მდე). ორჯონიკიძელი რ. პლიევი (62 კგ-მდე) IV ადგილზე გავიდა.

● მინსკი, 29 დეკემბერი (ტელეფონით). ბელორუსიის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ ჩაატარა გამოკითხვა 1972 წლის სეზონის შედეგების მიხედვით რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის დასადგენად. ხმების უმრავლესობით ამ ტრადიციულ სიას პირველად ჩაუდგა სათავეში გროდნოს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, მიუნპენის ოლიმპიადის 3 ოქროს მედლის მფლობელი, ტანმოვარჯიშე ო. კორბუტი. სიაში შეავიდნენ, აგრეთვე, მოჭიდავე ა. მედვედი, მოფარიკაველები ე. ბელოვა, ტ. სამუსენკო, ვ. სიდიაკი, ნიჩბოსანი ნ. გორბაჩოვი, ტანმოვარჯიშეები ა. კოშელი, თ. ლაზაკოვიჩი და სხვ.

„ყირა" ყინულის მოედანზე

ეგრძვის... თავის მეპარეს

ზედა სურათზე აღბეჭდილია ბურთიან ჰოკეიში შვეიცის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის მომენტი. კატრინეჰოლმის სტადიონზე ადგილობრივი გუნდი ლიუსდალის კლუბს ეთამაშებოდა და გაიმარჯვა კიდეც — 2:0. ამ საინტერესო მატჩს 14484 მაყურებელი დაესწრო. ფოტორეპორტიორმა შეხვედრის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მომენტი „დაიჭირა": ბურთისთვის ჭიდილში ერთმანეთს შეეჯახნენ ლიუსდალელი ლ. ნორდენი (№ 4) და კატრინეჰოლმელი ჩ. იოსტერბერგი (№ 10). როგორც ხედავთ, ამ ორთაბრძოლის შედეგად მასპინძელი ერთობ არასახარბიელო, პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა — „ყირაზე დადგა".

ქვედა სურათიც შვეიცარიაში გადალებული, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დროს. ქალაქ ერებროში ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი და ნორკიოინგის გუნდები. ერებროს გამოცდილი მეკარე ს.-გ. ლარსონი გაოცებული ცდილობს ბურთის დაჭერას. გაოცებული იმიტომ, რომ მისი თანაგუნდელი ო. ლიუგბერგი (მარჯვნივ, თეთრ მაისურში), რომელიც მუდამ გამოირჩევა მეტოქესთან თავგამოდებული ბრძოლით, ახლა თითქოს სწორედ მოწინააღმდეგეს ეხმარება — „ცდილობს" თავის მეკარეს ხელიდან გააგდებინოს ბურთი. გამოცდილმა მეკარემ, მიუხედავად ამისა, ბურთს ხელი არ გაუშვა და ეს მომენტი მასპინძელთათვის მშვიდობიანად დამთავრდა.

მარცხნივ — ნორკიოინგის გუნდის თავდამსხმელი უ. ჰულტბერგი (№ 9).

ეს საინტერესო და ძაძაბული მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0.

ბრესენს ბილდის ფოტოები.



ოგიევსიეგმის ოსოფლი

საჭადრაკო მერიდიანებზე

ბრუნსვიგი, 30 დეკემბერი. საბჭოთა ოსტატმა ო. რომანიშინმა წარმატებით აიღო სტარტი ევროპის უძლიერეს ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც 9 ქვეყნის 10 წარმომადგენელი მონაწილეობს. რომანიშინმა დამარცხა კ. ბალიონი (ჰოლანდია), პ. შპაცეკი (ჩეხოსლოვაკია) და ა. მარტინი (ესპანეთი). 3 ტურის შემდეგ საბჭოთა ოსტატს 3 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ინგლისელი მილსი. აღსანიშნავია ჭაბუკი ოსტატების მწვავე და შედეგიანი თამაში: თხუთმეტი გათამაშებული პარტიიდან ყაიმით მხოლოდ ერთი დამთავრდა.

ჰასტინგსი, 30 დეკემბერი. აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო საშობაო ტურნირში, რომელშიც 16 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობს, ორი ტურის შემდეგ ლიდერობს დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი. I ტურში მან მოუგო მ. სტინს, II — ბ. ილის (ორივე — ინგლისი). ვ. ტუკმაკოვმა წააგო ვ. ჰარსტონთან (ინგლისი), ხოლო სტინთან პარტია გადადო. ვ. სმისლოვმა ყაიმით დამთავრა შეხვედრები ჰარსტონთან და დ. რაიკოვიჩთან (იუგოსლავია).

თქვენ როგორ ამოხსენით?

„ლელოს" 24 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული რ. თავარიანის ამოცანების ამოხსნა: ამოცანა № 1. 1. მფg2 მcd1 2. მფf3 მc3 3. მფe3 მc4+ 4. მფd4 მe5 5. მფ:e5 და შამათით ორ სვლაში. ამოცანა № 2. 1. ლg2 ეh8 2. ლe4 ეg8 3. ლg6 ეh8 4. ლh7 ეc8 5. ლc2 ეd6 6. ლc4 ეb8 7. c8ლ ეb6 8. ლe4+. ამოცანა № 3. 1. ეg1 g2 2. მფg3 gf 3. მფh4 f2 4. ეcf1.

ამავე ნომერში დასტამბული ვ. კალანდაძის ეტიუდი ასე იხსნება: 1. მფg7 ლg3+ 2. მფf8 ლd6+ 3. მფe8 ლc6+ 4. მფd8 ლf6+ 5. მფc8 ლc6+ 6. მფb8 მფ:a6 7. d8მ ლd7 8. f8ე ლd6+ 9. მფa8 ლf8 10. b8მ+ მოგებით.

დასახელებული ამოცანები და ეტიუდი სწორად ამოხსნეს ვ. ჭკუასელმა (თბილისი) და რ. კახიძემ (ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ქვემო ჩხუტუნეთი).

გაზეთის 25 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი რ. თავარიანის ეტიუდის ამოხსნაა: 1. a7 h2 2. a8ე ka7+ 3. მფ:a7 h1ლ 4. b8მ+ მფe8 5. kc6+ მფf8 6. k:h1 ka4 7. kc6 c2 8. k:a4 c1ლ 9. მc6! ყაიმით. 4. ... მფd8 5. k:h1 ka4 6. kc6 c2 7. k:a4 c1ლ 8. მc6+ მფe8 9. მფh7 ყაიმით. 4. ... მფc8 5. k:h1 ka4 6. kb7+ მფd8 7. kc6 c2 8. k:a4 c1ლ 9. მc6+ მფd7 10. მb8+ მუდმივი ქიშით.

ამავე ნომერში მოთავსებული ნ. ფანჯაკიძის ამოცანა ასე იხსნება: 1. kd2 მფf8 2. eg1. 1. ... მფd8 2. ka5++.

„ლელოს" 253-ე ნომერში დაბეჭდილი რ. თავარიანის ამოცანის ამოხსნაა: 1. ლb6 მ:f4 2. ლh6+ მh5 3. f4. ეს ამოცანა სწორად ამოხსნეს ლ. ხუნწელიამ (წულუკიძე), ზ. ედილაშვილმა, შ. ბაშარულმა (ორივე — თბილისი), მ. კორძახიამ (აბაშა), რ. კახიძემ.

წერილი რედაქციას

სწორად არ მიმაჩნია

ძვირფასო რედაქცია! ამას წინათ „ლელოში" დაიბეჭდა კალათბურთში თბილისის 10 საუკეთესო მსაჯის სია. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ სიაში ჩემი გვარი ამოვიკითხე. ამ ყურადღებისთვის უმორჩილეს მადლობას ვუძღვნი თბილისის კალათბურთის ფედერაციას და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმს, მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ 1972 წელს საერთოდ არ მიმსაჯია ქალაქის ჩემპიონატის მატჩებში, საქართველოს ზამთრის პირველობაში კი სულ ოთხჯერ თუ გამოვედი მოედანზე.

მაკვირვებს, რისთვის დასჭირდათ ჩემი გვარის შეტანა ამ სიაში. მე ხომ ამით წაგართვი ადგილი რომელიღაც მსაჯს ათეულში? ან როდის იყო, რომ ასეთი ათეულები სიძლიერის მიხედვით დგებოდა. ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ფეხბურთისა და სპორტის სხვა სახეობების მსაჯთა ათეულები. მსაჯთა გვარები ყველგან ანბანის მიხედვით იყო დალაგებული. ჩემი აზრით, თბილისის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმიც სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო.

ვ. ჯაშარიძე,
საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხვალ, 1 იანვარს.

რედაქტორი მ. ძაძაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს დამატებით მიღებას **ასპირანტურაში 1972-73 სასწავლო წლისთვის** შემდეგ სპეციალობებზე:

ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა:

1. ფეხბურთი (წარმოებიდან მოწყვეტით) — 1 ადგილი,
2. კრივი (წარმოებიდან მოუწყვეტლივ) — 1 ადგილი.

ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად. საბუთების მიღება 1973 წლის 15 იანვრიდან ყოველდღე, კადრების განყოფილებაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 49. ტელეფონი 22-24-69.